სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის

ბრძანება № 14

2012 წლის 05 აპრილი

ქ. თბილისი

2012 წლის საერთაშორისო ოლიმპიადებისათვის საქართველოს ნაკრები გუნდების წევრების შერჩევის, მომზადებისა და საერთაშორისო ოლიმპიადებში მათი მონაწილეობის ადმინისტრირების უზრუნველყოფის ღონისძიებების შესახებ

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის №62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის "ბ" ქვეპუნქტისა და ,,განსაკუთრებით ნიჭიერი ახალგაზრდების წახალისების პროგრამის დამტკიცების შესახებ" პროგრამის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 06 იანვრის №25 ბრძანების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს "2012 წლის საერთაშორისო ოლიმპიადებისათვის საქართველოს ნაკრები გუნდების წევრების შერჩევის, მომზადებისა და საერთაშორისო ოლიმპიადებში მათი მონაწილეობის ადმინისტრირების პროცედურები და პირობები" ამ ბრძანების დანართი №1 -ის შესაბამისად.

2. დამტკიცდეს 2012 წლის საერთაშორისო ოლიმპიადებისათვის საქართველოს ნაკრები გუნდების წევრობის კანდიდატებისათვის ჩასატარებელ შესარჩევ ტურში მონაწილის სააპლიკაციო განაცხადის ფორმა ამ ბრძანების დანართი №2-ი ს შესაბამისად.

3. 2012 წლის საერთაშორისო ოლიმპიადებისათვის საქართველოს ნაკრები გუნდების წევრების შერჩევასთან, მომზადებასა და მათ საერთაშორისო ოლიმპიადებში მონაწილეობასთან დაკავშირებული საკითხების ადმინისტრირების მიზნით დამტკიცდეს სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა შემდეგი სახით:

ა) კარლო ლაფერაძე - სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის მოადგილე;

ბ) ირაკლი ნოსელიძე - ფონდის სამეცნიერო პროგრამების დეპარტამენტის უფროსი; ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსი;

დ) მალხაზ ხოფერია - ფონდის ფინანსური და მატერიალური რესურსების დეპარტამენტის უფროსი;

ე) ლელა ღუდუშაური - ფონდის ფინანსური და მატერიალური რესურსების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე;

ვ) ტიტე რუხაძე - ფონდის ფინანსური და მატერიალური რესურსების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე;

ზ) დავით ჩიჩუა - ფონდის სამეცნიერო პროგრამების დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი;

თ) მადონა გვიდიანი - ფონდის იურისტი;

ი) თამარ გორგოძე - ფონდის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი;

კ) ნათია იაშვილი - ფონდის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი;

ლ) დოდო გუგავა - ფონდის კონსულტანტი მეცნიერების პოპულარიზაციის საკითხებში;

მ) ნიკოლოზ ბაქრაძე - ფონდის კონსულტანტი საერთაშორისო ურთიერთობების საკითხებში;

ნ) გიორგი დავითაშვილი - ფონდის სისტემური ადმინისტრატორი;

ო)დავით ხვედელიძე - ფონდის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი;

4. დაევალოს ფონდის საზოგადოებასთან ურთიერთობის კოორდინატორს (თ. გორგოძეს) წინამდებარე ბრძანების საჯარო გაცნობისათვის განთავსება ფონდის ვებ-გვერდზე: www.rustaveli.org.ge.

5. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

სულხან სისაური

გენერალური დირექტორი